

XVII თავი

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა

ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვა ხორციელდება სპეციალური ელექტრონული სისტემის საფუძველზე, სადაც აღირიცხება სტუდენტთა სწავლის შედეგები. სისტემის მართვის რეგულაცია მოცემულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებაში (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 2).

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის (შემდგომში „სისტემის“) მართვა ხორციელდება შესაბამისი ფაკულტეტის/პერსონალის და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ, ხოლო ადმინისტრირების კონტროლი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

სისტემის მართვა/ადმინისტრირება მოიცავს სხვადასხვა ოპერაციებს, რომელიც ხორციელდება შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში შემდეგნაირად:

1.1. საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურის მიერ:

- ა) სისტემაში მომხმარებლის დამატება/რედაქტირება/წაშლა;
- ბ) სტრუქტურის დამატება/რედაქტირება/წაშლა;
- გ) სასწავლო კურსების დამატება/წაშლა;
- დ) უწყისების წაშლა/გენერირება/დაარქივება;
- ე) შეფასებისა და დასწრების კომპონენტების მართვა;
- ვ) შეფასების სისტემის, რეგისტრაციის და გამოკითხვების მართვა;

1.2. შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ:

- ა) ლექტორ-მასწავლებლის დამატება/რედაქტირება/წაშლა;
- ბ) სტუდენტის დამატება, რედაქტირება;
- გ) პროგრამაზე სტუდენტის მიმაგრება, წაშლა;
- დ) სასწავლო კურსების რედაქტირება;
- ე) უწყისების დამატება, რედაქტირება;
- ვ) უწყისზე სტუდენტების და პერსონალის (ლექტორ-მასწავლებლის) მიმაგრება/წაშლა;
- ზ) უწყისში ჯგუფების შექმნა;
- თ) მობილობის დასკვნების ასახვა;

1.3. შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების მიერ - პროგრამის რედაქტირება.

1.4. საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ - ფინანსური მოდულის მართვა.

1.5. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის) მიერ -საკომუნიკაციო მოდულის მართვა.

1.6. სასწავლო კურსის წარმმართველი პერსონალის (პროფესორი/მასწავლებელი/სპეციალისტი) მიერ:

- ა) სააუდიტორიო მეცადინეობის მასალების ატვირთვა;

ბ) შეფასებებისა და დასწრების მონაცემების ასახვა სისტემაში.

2. სიტემაში ხარვეზის დაფიქსირების შემთხვევაში, ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული პირებმა და სტუდენტებმა ერთი კვირის ვადაში წერილობით უნდა მომართონ ადმინისტრაციას, რათა საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ აღმოიფხვრას ტექნიკური ხარვეზი.

ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია აკადემიური რეგისტრაციის (სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის) გაუვლელიობა.

შესაბამისი სემესტრში აკადემიური რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული მართვის სისტემისა და დეკანის ოფისიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, გამოიცემა რექტორის ბრძანება აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელიობის გამო შესაბამის პირთათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ, რომელიც განთავსდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე საჯარო გამოცხადების მიზნით.